სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

31 დეკემბერი 2025

N 830/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბოლნისის მუნიციპალიტეტში სს „არ ემ ჯი კოპერის“ მიერ გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის (სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე არსებული მიწის დეგრადაცია) გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის შეთანხმების შესახებ

სს „არ ემ ჯი კოპერი“ (ს/კ: 225358341) ახორციელებს „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) მე-2 დანართის (გარემოსთვის განსაკუთრებით საშიში საქმიანობები) პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 8 ივლისის №2-626 ბრძანებით გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება).

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის (შემდგომ - სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი) უფროსის 2023 წლის 24 მარტის №DES72300000075 ბრძანებით (შემდგომ - №DES72300000075 ბრძანება), გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისთვის, სს „არ ემ ჯი კოპერს“, კანონის მე-6 მუხლის მე-7 პუნქტის და 28-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, დაეკისრა მკაცრი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა.

№DES72300000075 ბრძანების მიხედვით, ბოლნისის მუნიციპალიტეტში სს „არ ემ ჯი კოპერის“ უკანონო ქმედებით სანაყაროებზე ფუჭი ქანების ნაკადების გაზრდამ გამოიწვია სანაყაროს მიმდებარედ, სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე არსებული მიწის დეგრადაცია. კერძოდ, ფუჭი ქანების №1 სანაყაროს 2 792.5 კვ.მ (აღნიშნული ფართობი სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 19 ივლისის №DES52300000271 ბრძანებით დაზუსტდა და შეადგინა 27 926.5 კვ.მ) წარმოადგენს სახელმწიფო ტყის ტერიტორიას, ფუჭი ქანების №2 სანაყაროს 34 114.8 კვ.მ წარმოადგენს სახელმწიფო ტყის ტერიტორიას, ფუჭი ქანების №3 სანაყაროს 84 308 კვ.მ წარმოადგენს სახელმწიფო ტყის ტერიტორიას, ფუჭი ქანების №4 სანაყაროს 330 253.6 კვ.მ წარმოადგენს სახელმწიფო ტყის ტერიტორიას, კუდსაცავის ტერიტორიაზე არსებულ პონტონამდე მოწყობილი ახალი გზის 24 124 კვ.მ ფართობი მოქცეულია სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე, ღია სამთო გამონამუშევარის (კარიერის) 24 185.9 კვ.მ ფართობი მოქცეულია სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე.

ჯამში დადგინდა 524 912.8 კვ.მ სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე არსებული მიწის დეგრადაცია, რაც კანონის №1 დანართის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, წარმოადგენს გარემოსთვის მიყენებულ მნიშვნელოვან ზიანს და, შესაბამისად, იწვევს გარემოსდაცვით პასუხისმგებლობას.

სს „არ ემ ჯი კოპერის“ მიერ, კანონის მე-8 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების მოთხოვნის შესაბამისად, 2023 წლის 31 მაისს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ - სააგენტო) წარმოდგენილ იქნა ინფორმაცია, №DES72300000075 ბრძანებით დადგენილი დაზიანებული გარემოს ნაწილის (სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე არსებული 34 114.8 კვ.მ მიწა) პირვანდელ (ზიანის მიყენებამდე არსებულ) მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობაში აღდგენის შესაძლებლობის შესახებ.

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სააგენტოში მიმდინარე ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესში, სს „არ ემ ჯი კოპერის“ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის განხილვის შედეგად დადგინდა, რომ №DES72300000075

ბრძანებით განსაზღვრული დაზიანებული გარემოს ნაწილის - სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე დეგრადირებული მიწის (34 114.8 კვ.მ) პირვანდელ (ზიანის მიყენებამდე არსებულ) მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენა შესაძლებელია. შესაბამისად, სააგენტოს უფროსის 2023 წლის 27 სექტემბრის №489/ს ბრძანებით გამოიცა გადაწვეტილება „სს „RMG Copper"-ის მიერ ბოლნისის მუნიციპალიტეტში დაზიანებული გარემოს (დეგრადირებული სახელმწიფო ტყის მიწა) ნაწილის პირვანდელ მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენის შესაძლებლობის შესახებ".

სააგენტოს უფროსის №489/ს ბრძანების მე-3 პუნქტისა და კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სს „არ ემ ჯი კოპერმა" 2023 წლის 5 დეკემბრის №127.234 წერილით (სააგენტოში რეგისტრაციის №11852, თარიღი 05.12.2023) სააგენტოში შესათანხმებლად წარმოადგინა ბოლნისის მუნიციპალიტეტში, დაბა კაზრეთში, გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის (სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე არსებული 34 114.8 კვ.მ (აღნიშნული ფართობი სს „არ ემ ჯი კოპერის" მოთხოვნის საფუძველზე სააგენტოს უფროსის 2025 წლის 4 ნოემბრის №686/ს ბრძანებით დაკორექტირდა და შეადგინა 32 754 კვ.მ) მიწის დეგრადაცია) გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმა (შემდგომ - გეგმა). აღნიშნული გეგმა მომზადებულია სს „არ ემ ჯი კოპერის" მიერ.

წარმოდგენილი გეგმის მიხედვით ტერიტორიაზე იგეგმება სხვადასხვა ღონისძიების განხორციელება, რომელთა მიზანია რელიეფის ადგილობრივ ლანდშაფტთან მაქსიმალურად მიახლოება - ფუჭი ქანების ტექნიკური ფორმირება, გაშიშვლებულ ზედაპირებზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შექმნა, ტერიტორიაზე მყარი და პროდუქტიული მცენარეული საფარის აღდგენა. გეგმის თანახმად, უზრუნველყოფილი იქნება დეგრადირებული/დაკარგული ბუნებრივი რესურსების და დაზიანებული/შემცირებული/გაუარესებული ეკოლოგიური სერვისების პირვანდელ მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენა, კერძოდ:

მიწის რესურსის აღდგენა - ექვივალენტ ფართობზე ხელოვნურად შეიქმნება ნიადაგის ფენა საბაზისო მდგომარეობასთან მიახლოებითი პარამეტრებით (გამოყენებული იქნება მიმდებარე ტერიტორიებზე ადგილობრივი ტიპის და სტრუქტურის სხავადასხვა დროს მოხსნილი და დასაწყობებული ნაყოფიერი ფენის მარაგები);

ტყის მერქნული და არამერქნული რესურსის (ხე-მცენარეები და ბალახი) აღდგენა - ნიადაგის ფენაზე აღდგება ზიანის მიყენებამდე არსებული მცენარეთა თანასაზოგადოების მიახლოებითი შემადგენლობა და სტრუქტურა (ბალახოვანი საფარის, ადგილობრივი სახეობის ხე-მცენარეების დარგვით);

ფაუნის წარმომადგენლებისთვის ტერიტორიაზე წვდომის აღდგენა - ტერიტორიაზე შეიქმნება მცირე ძუძუმწოვრების, მწერების და ფრინველების საბინადრო გარემო და საკვები ელემენტები (მრავალწლიანი ბალახოვანი სახეობები, რომლებიც გამოირჩევიან პროდუქტიული თესლბრუნვით და ხანგრძლივი რევეგეტაციის უნარით).

ზემოაღნიშნული გეგმის განხილვის მიზნით, კანონის მე-11 მუხლის საფუძველზე, სააგენტოს უფროსის 2024 წლის 13 თებერვლის №91/ს ბრძანებით, შეიქმნა გეგმის განმხილველი კომისია, რომელშიც ჩართულები იყვნენ, როგორც საზოგადოებრივი ექსპერტები, ასევე სააგენტოს, სამინისტროს და სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებების წარმომადგენლები.

გეგმის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისას ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების განსაზღვრაში დაინტერესებული პირ(ებ)ის მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, სააგენტომ, კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად, ასევე უზრუნველყო ინფორმაციის განთავსება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე და გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, აღნიშნულ გეგმასთან დაკავშირებით, დაინტერესებული პირ(ებ)ის მიერ შენიშვნები/მოსაზრებები სააგენტოში არ წარმოდგენილა.

გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე სს „არ ემ ჯი კოპერის" მიერ, 2025 წლის 19 დეკემბრის №193.330 წერილით (სააგენტოში რეგისტრაციის №13120, თარიღი 22.12.2025) წარმოდგენილ იქნა განახლებული გეგმა და მასთან დაკავშირებული დაზუსტებული ინფორმაცია, რომელსაც კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, თან ერთვის აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ, დადასტურებული გეგმის ხარჯთაღრიცხვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეთანხმებულად ჩაითვალოს სს „არ ემ ჯი კოპერის“ (ს/კ: 225358341) მიერ 2025 წლის 19 დეკემბრის №193.330 წერილით (სააგენტოში რეგისტრაციის №13120, თარიღი 22.12.2025) წარმოდგენილი, ბოლნისის მუნიციპალიტეტში, დაბა კაზრეთში გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის (სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე არსებული 32 754 კვ.მ მიწის დეგრადაცია) გამოსასწორებელი ღონისძიებების თანდართული გეგმა.
2. სს „არ ემ ჯი კოპერმა“ უზრუნველყოს №DES72300000075 ბრძანებით გათვალისწინებული დაზიანებული გარემოს ნაწილის - სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე არსებული 32 754 კვ.მ მიწის პირვანდელ (ზიანის მიყენებამდე არსებულ) მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენა, შეთანხმებული გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელებით, ამავე გეგმის გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში.
3. სს „არ ემ ჯი კოპერმა“, „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის, პირველი პუნქტის „ვ“ ნაწილით, ამავე ბრძანებით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის შეთანხმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში, სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე მიმართოს მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული ღონისძიებების საერთო ღირებულების თანხის 2%.
4. „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის, მე-5 პუნქტის შესაბამისად, პასუხისმგებელი პირი ვალდებულია უზრუნველყოს მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის განხილვისთვის, სააგენტოს მიერ გაწეული ხარჯების (მათ შორის, ექსპერტიზის, კვლევითი სამუშაოების ღირებულების, საზოგადოებრივი ექსპერტის შრომის ანაზღაურებისა და სამივლინებო ხარჯების) სრულად ანაზღაურება, რამაც „ბოლნისის მუნიციპალიტეტში სს „არ ემ ჯი კოპერის“ მიერ გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის (სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე არსებული მიწის დეგრადაცია) გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის“ განხილვისას შეადგინა - 1 920 ლარი. სს „არ ემ ჯი კოპერის“ მიერ ამ პუნქტით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურება მოხდეს მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის შეთანხმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში, სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე.
5. სს „არ ემ ჯი კოპერმა“ უზრუნველყოს „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და პროცედურების დაცვა.
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „არ ემ ჯი კოპერს“ (ს/კ: 225358341).
7. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „არ ემ ჯი კოპერის“ მიერ მისი გაცნობისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/830-21-4-202512311359

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

20 თებერვალი 2026

N 112/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„ბოლნისის მუნიციპალიტეტში სს „არ ემ ჯი კოპერის“ მიერ გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის (სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე არსებული მიწის დეგრადაცია) გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის შეთანხმების შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2025 წლის 31 დეკემბრის №830/ს ბრძანებაში ტექნიკური შეცდომების გასწორების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2023 წლის 29 დეკემბრის №2-978 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ და „რ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომები „ბოლნისის მუნიციპალიტეტში სს „არ ემ ჯი კოპერის“ მიერ გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის (სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე არსებული მიწის დეგრადაცია) გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის შეთანხმების შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2025 წლის 31 დეკემბრის №830/ს ბრძანებაში:

   ა) ბრძანების სათაურის შემდეგ არსებულ პირველ აბზაცში, სიტყვების „(საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 8 ივლისის №2-626 ბრძანებით გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება)“ ნაცვლად მიეთითოს სიტყვები „(სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2024 წლის 22 ნოემბრის №665/ს ბრძანებით გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ბოლნისის მუნიციპალიტეტში, დაბა კაზრეთში, სს „არ ემ ჯი კოპერის“ მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (მათ შორის მშრალი კუდების სანაყაროს მოწყობა-ექსპლუატაცია)).“

   ბ) ბრძანების მე-8 პუნქტში არსებული სიტყვების „(თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6)“ ნაცვლად მიეთითოს სიტყვები „(ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).“

2. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „არ ემ ჯი კოპერს“.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/112-21-4-202602201459

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE